საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმი

2025 წლის ანგარიში

საქართველოს ხელოვნების სასახლე
The Art Palace of Georgia

კულტურის სამინისტრო

2025 წლის სტატისტიკური მონაცემები

ჯამური შემოსავალი:	253 140 ლარი
საგანმანათლებლო პროგრამები:	129 156 ლარი

მეორე კვარტლის შემოსავალი:

დამთვალიერებლთა რაოდენობა:

დამთვალიერებელთა სრული რაოდენობა:	26 295 სტუმარი
საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილე ბავშვთა რაოდენობა:	10 763 სტუმარი

სტანდარტული ვიზიტორების სტატისტიკური ცხრილი

სტანდარტული	3,280 სტუმარი
საქართველოს სამხედრო მოსამსახურე	10 სტუმარი
მოსწავლე	2,206 სტუმარი
სტუდენტი	951 სტუმარი
უცხოელი	8,071 სტუმარი
იძულებით გადაადგილებული პირი	504 სტუმარი
სოციალურად დაუცველი	510 სტუმარი

სულ საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა:

1.21 თებერვალს, 19:00 საათზე საქართველოს ხელოვნების სასახლეში ქართველი მოქანდაკე, მხატვრისა და ხატმწერის მარინა ივანიშვილის გამოფენა გაიმართა. მარინა ივანიშვილი მონუმენტალისტი გახლდათ. ნახატში, ფერწერაში, რაც მთავარია - ქანდაკებაში. ძირითადად მცირე ზომის დაზგური ქანდაკებები აქვს. მისი შემოქმედება საერთაშორისო რანგის მოვლენაა.

2. 1 მარტს, ხელოვნების სასახლეში ეკატერინე ბულაშვილის რიგით მეშვიდე პერსონალური გამოფენა გაიმართა ექსპოზიციაზე, მხატვრის ოცდაათი ფერწერული და სკულპტურული ნამუშევარი იყო წარმოდგენილი.

ეკატერინე ბულაშვილმა სამხატვრო აკადემია 2014 წელს დაასრულა. იგი ჯერ ფერწერის, შემდგომ კი, ქანდაკების ფაკულტეტზე სწავლობდა. სტუდენტობის პერიოდიდან მონაწილეობას იღებს ჯგუფურ გამოფენებსა და ფესტივალებში. მისი ნამუშერევრები დაცულია საქართველოში, პორტუგალიასა და გერმანიაში. ეკატერინე ბულაშვილის შემოქმედება აერთიანებს - პეიზაჟს, პორტრეტსა და ფიგურატიულ კომპოზიციებს. მის ნამუშევრებს რეალობის ასახვა და შინაგანი სამყაროს ინდივიდუალური პრიზმიდან დანახვა ახასიათებს.

3. ქართულ-ბერძნული მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ურთიერთობები და საბერძნეთის მუზეუმებში დაცული ქართული უნიკალური რარიტეტები - საქართველოს ხელოვნების სასახლის ინიციატივითა და ათენის ქართული კულტურის ცენტრ კავკასიის მხარდაჭერით საბერძნეთში მუზეუმელთა სამეცნიერო ექსპედიცია მოეწყო. მუზეუმის თანამშრომლებს ბენაკის სიძველეთა საცავში მე-17-18სს, ქართული ჯვრის კოლექციების დათვარიელების შესწავლისა და ფოტოფიქსაციისა შესაძლებლობა მიეცათ.

4. საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით 21 მარტს, 18:00 საათზე ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმში, მერაბ კოკოჩაშვილის 90 წლისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიმართა, უკვდავთა თაღში კი რეჟისორის ხელის ანაბეჭდიც გაიხსნა.

60-იანი წლების ქართული კინოს ერთ-ერთ ლიდერს, ეროვნული კინოკლასიკის შედევრად აღიარებული ფილმის “დიდი მწვანე ვეილს” (1964) ავტორს, მერაბ კოკოჩაშვილს, 90 წელი შეუსრულდა. გამოფენაზე იხილავდით რეჟისორის შემოქმედების ამსახველ ფოტო მასალებს, აფიშებს კინო ფილმებიდან, ესკიზებს, საოჯახო ფოტო სურათებსა და ხელნაწერებს. წარმოდგენილი ფოტო მასალები და ხელნაწერები ასახავდა რეჟისორის შემოქმედების მრავალფეროვნებას – მის ვირტუოზულ კინოსარეჟისორო უნარებსა და განვლილ კარიერულ გზას.

5. საქართველოს ხელოვნების სასახლე - კულტურის ისტორიის მუზეუმში, იული სტრაუმეს სახელობის II კორპუსში, 27-28 მარტს, III სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს ხელოვნების სასახლე - კულტურის ისტორიის, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო, ბათუმის რელიგიის ისტორიისა და დადიანების სასახლე ისტორიულ-არქიტექტორული მუზეუმების, ასევე, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქ. რუსთავის მერიის კულტურის სამსახურის მეცნიერ-თანამშრომლებმა.

6. 6 აპრილს 18:00 საათზე ხელოვნების სასახლეში შალვა სამნიაშვილის გამოფენა გაიხსნა. შალვა სამნიაშვილი ახალგაზრდა მხატვარია, რომლის ნამუშევრებიც იდეალური ნაზავია ფსიქოლოგიური სიღრმეების, სარკაზმის, იუმორისა და ცოცხალი ფერების. იგი იკვლევს ემოციურ ინტენსივობასა და ინტროსპექციის სირთულეებს. მხატვარი ნამუშევრებში უღრმავდება ადამიანის ფსიქიკურ სირთულეებს და ხდება ერთგვარი სარკე თანამედროვე რეალობის, რითაც დამთვალიერებლებს მეტი სიღრმისაკენ უბიძგებს. ეს არის ადამიანის პროვოკაციული ფსიქიკის შესწავლა, დაკვირვება და ერთგვარი ბალანსის აღმოჩენა ემოციებისა და ფერების საშუალებით.



7. 2025 წლის 10 აპრილს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმისა და საქართველოს სამეფო აზიური საზოგადოების ერთობლივი გადაწყვეტილებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია საზოგადოების წევრი გახდა. საქართველოს სამეფო აზიური საზოგადოება 2023 წლიდან დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეფო აზიური საზოგადოების წევრია. თსუ-ის რექტორს სამკერდე ნიშანი საზოგადოების პრეზიდენტმა გიორგი კალანდიამ გადასცა, ხოლო წევრობის დამადასტურებელი სერტიფიკატი – ვიცე-პრეზიდენტმა თამარ ლაცაბიძემ.

8. საქართველოს ხელოვნების სასახლე - კულტურის ისტორიის მუზეუმის სახვითი ხელოვნების ფონდს, კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით დასავლეთ ევროპული - მე-16 საუკუნის ორი ნახატი „წმინდა იოანე ნათლისმცემელი და წმინდა იერონიმი, წმინდა პეტრე და წმინდა პავლე“ და ნატურმორტი „ყვავილები ლარნაკით“ შეემატა.



9. ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმმა, თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანებაისგან ქართული ავანგარდული ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენლის პეტრე ოცხელის დღემდე უცნობი, თოჯინების თეატრის უნიკალური ესკიზი, თეჯირის პირველი ვარიანტი მიიღო საჩუქრად, რომელიც მისი პირველი ნამუშევარია თოჯინების თეატრში.



10. 1 მაისს, 19:00 საათზე ხელოვნების სასახლეში ახალგაზრდა ქართველი ხელოვანის გიორგი პატარიძის პერსონალური გამოფენა გაიმართა, რომელიც ერთი კვირის განმალობაში გაგრძელდა, სადაც წარმოდგენილი იყო მხატვრის გრაფიკული ნამუშევრები , რომლებიც მიზნად ისახავს მომენტალურად მიღებული ემოციების დაჭერასა და ერთმანეთთან დაკავშირებას.



11. საქართველოს კულტურის სამინისტრომ ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმის კოლექციისთვის XVIII საუკუნის უნიკალური ქართული ხელნაწერი „იამბიკონი და იკოსნი წმიდისა ღმრთისმშობლისანი“ შეიძინა. იამბიკონი ძველ ქართულ ჰიმნოგრაფიაში X საუკუნიდანაა ცნობილი. ის იოანე მტბევარის, იოანე მინჩხის, მიქაელ მოდრეკილის, ეზრასა და სხვათა შემოქმედებაში გვხვდება. ქართული იამბიკოს შესანიშნავი ნიმუშია მეფე დემეტრეს (1125-1159) ცნობილი საგალობლის („შენ ხარ ვენახი“) ბოლო ხუთტაეპიანი სტროფი. ხელნაწერის ისტორიულ მნიშვნელობასთან ერთად დიდია მისი მხატვრული ღირებულება, იამბიკონის თითქმის ყველა გვერდი სინგურით შესრულებული საზედაო ასოებითაა გაფორმებული, რაც წიგნს ქართული კალიგრაფიული ხელოვნების განსაკუთრებულ ძეგლად წარმოაჩენს.

12. მუზეუმის საერთაშრისო დღეს, 18 მაისს, 19:00 ხელოვნების სასახლეში პირველად სრულიად გამორჩეული და უპრეცენდენტო გამოფენა “თოჯინების ჯადოსნური ამბავი” გაიმართა. ექსპოზიციაში წარმოდგენილ იქნა 29 მხატვარ-მეთოჯინის 60 ხელნაკეთი, უნიკალური თოჯინა, თითოეულ მათგანს განსხვავებული ხასიათი და ისტორია გააჩნდა. ამავდროულად, მუზეუმების საერთაშოისო დღესთან დაკავშრებით სასახლე დილის 10:00 საათიდან და 22:00 საათამდე უფასოდ მუშაობდა და ყველას თოჯინების ზღაპრულ სამყაროში ეპატიჟებოდა.

13. 20 მაისს, 19:00 საათზე ხელოვნების სასახლე - კულტურის ისტორიის მუზეუმში, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, მომღერლის, საქართველოს სახალხო არტისტის ჯემალ ჭკუასელის 90 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა. ღონისძიებას ბატონი ჯემალის მეგობრები, კოლეგები, ოჯახის წევრები, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. დამთვალიერებელს შესაძლებლობა ჰქონდა გაცნობოდა ბატონი ჯემალის პირად ფოტოალბომებს, ანსამბლის კარიერული გზის ამსახველ ფოტომასალასა და სხვადასხვა ჯილდოებს.

14. 3 ივნისს, 19:00 საათზე საქართველოს ხელოვნების სასახლეში “სახელოსნო N6”- ჯგუფური გამოფენა სახელწოდებით არქიპელაგი: ზღვა საერთოა გაიმართა.

ჯგუფმა, სახელოსნოს კურატორთან მარიამ ყანდიაშვილთან ერთად წარმოადინა განსხვავებული ასაკის, პროფესიისა და გამოცდილების მქონე ადამიანების ნამუშევრები. გამოფენაზე წარმოდგენილ იქნა დაახლოებით 40 ნამუშევარი, რომლებიც შესრულებულია სხვადასხვა მედიაში: ფერწერა, გრაფიკა, ვიდეო არტი და ინსტალაცია. მიუხედავად ერთობლივი მუშაობისა, თითოეულ ავტორს საკუთარი უნიკალური ხელწერა ჰქონდა, რაც სახელოსნოს ძირითად თემას ასახავდა — ერთი სივრცე, მრავალი სამყარო.



15. ხელოვნების სასახლე კიდევ ერთხელ, გამორჩეული ექსპონანტებით გამდიდრდა. მუზეუმი გულწრფელ მადლობას უხდის ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე ცნობილ ქართველ ჟურნალისტს, სასცენო ხელოვნების მკვლევარს ქალბატონ ნანა ღონღაძეს იმ გამორჩეული ძღვენისათვის, რომელიც ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმს გადასცა. ქალბატონმა ნანამ მუზეუმს უსახსოვრა ოთარ შიუკაშვილის ფერწერული ტილო: „ბროწეულები ლანგარზე” და აშშ-ში პარფიუმერული კომპანიის დამაარსებლის გიორგი მაჩაბლის მიერ გამოშვებული სუნამო „პრინცი მაჩაბელი“.



16. ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმი საერთაშორისო ჯილდოს International Travel Award-ის მფლობელია. International Travel Award-ის ჯილდო მიღებული აქვთ ისეთ ავტორიტეტულ ორგანიზაციებს როგორებიცაა: “ფერარი”, “Warner Bros”, ” რადისონ ბლუ” და ა.შ (Ferrari World Abu Dhabi (Best Tourist Attraction in Middle East), W Verbier Swizerland (Best ski Hotel), Warner Bros. World Abu Dhabi). არსებული საერთაშორისო ტურისტული ჯილდოები აღიარებს ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიაში უმაღლეს მიღწევებს. ჯილდო ენიჭებათ ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციებს, კულტურულ ღირსშესანიშნაობებს, ტურისტულ კომპანიებს, ავიაკომპანიებს. კონკურსი დუბაიში ტარდება- ჯილდო წელიწადში ერთხელ გაიცემა და ეყრდნობა მუზეუმების მაღალი სტუმართმოყვარეობის ხარისხს, რაც დამთვარიელებელთა დადებით შეფასებებზეა დაფუძნებული.

17. 20 ივნისს, 19:00 საათზე ხელოვნების სასახლეში ოთარ მეგრელიძის პერსონალური გამოფენა გაიმართა. ხელოვანი თავისი შემოქმედებით თანამედროვე ქართული მხატვრობის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და გამორჩეული წარმომადგენელია. მან სამხატვრო აკადემია 1987 წელს დაამთავრა. 1991 წელს მხატვრის სახლში პირველი პერსონალური გამოფენა მოაწყო. შემდეგ მონაწილეობდა ჯგუფურ გამოფენებში: ფინეთში, იუგოსლავიაში, კარლსრუეში, მოსკოვში, ბაქოსა და ერევანში. 1994 წელს მოსკოვში გამოფენის ნახვის შემდეგ, იაპონელმა კოლექციონერმა, ვან გოგის „მზესუმზირების“ მფლობელმა ამიძაკიმ საკუთარი კოლექციისთვის მეგრელიძის ერთი ნამუშევარი შეიძინა. ეს უკანასკნელი ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ გემოვნებიან დამთვალიერებელს ოთარ მეგრელიძის ნამუშევრები გულგრილს ვერ დატოვებს. ასევე გაფორმებული აქვს საბავშვო ლიტერატურა, როგორც საქართველოში ასევე უცხოეთში. მის მიერ გადაწერილი ხელნაწერი წიგნი ,,ცხოვრება მეფეთ მეფის დავითის“ დაცულია ბრიტანეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. მხატვარს 2023-24 წწ. გამოცემული აქვს ხელნაწერი წიგნები: „ფსალმუნნი“ და „ძველი პატერიკი“. ოთარ მეგრელიძის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია კალიგრაფიას.

18. 7 ივლისს, 19:00 საათზე საქართველოს ხელოვნების სასახლეში ზურა გომელაურის პერსონალური გამოფენა გაიმართა. ზურა გომელაური თანამედროვე ქართული მხატვრობის ერთ-ერთი გამორჩეული და საყვარელი წარმომადგენელია. მისი შემოქმედება სავსეა პოზიტიური ენერგიით, შინაგანი სინათლითა და ცხოვრების სიყვარულით, რომელიც მის თითოეულ ნამუშევარში მკაფიოდ იგრძნობა. ზურა გომელაური 1988 წლიდან აქტიურად მონაწილეობს როგორც პერსონალურ, ისე ჯგუფურ გამოფენებში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. მისი ტილოები წარმოადგენენ როგორც ფერწერის, ისე ემოციური ნარატივის სინთეზს. მხატვრის შემოქმედება უხვადაა გაჟღენთილი სიცოცხლის, სიყვარულისა და სიხარულის თემებით, რასაც იგი სხვადასხვა სიმბოლოსა და ფერის ენით გადმოსცემს.



19. 11 ივლისს, 18:00 საათზე ხელოვნების სასახლეში ნინო კიტოვანის მიერ შესრულებული კედლის მხატვრობის ასლების გამოფენა გაიმართა: "ქართველი ერისთავები და მთავრები სამეგრელოს ეკლესია მონასტრებიდან".

20. XVI საუკუნის მოოქრული ტრიპტიქი, რომელიც აღორძინების ხანის იტალიელი მხატვრის, ბერნარდინო პინტურიკიოს (1454-1513), სკოლის წარმომადგენელს ეკუთვნის, საქართველოში, ხელოვნების სასახლე კულტურის ისტორიის მუზეუმში დაბრუნდა. სამუზეუმო ჩანაწერებისა და საარქივო დოკუმენტების მიხედვით, ტრიპტიქი საქართველოში პრინცმა აშილ შარლ ლუი მიურატმა (1847-1895) ჩამოიტანა. პრინცის გარდაცვალების შემდეგ ნივთი ჯერ ანდრია დადიანის, შემდეგ კი გრაფ ოლდენბურგის კუთვნილება გახდა. 1921 წლის საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ ტრიპტიქი სხვა ნივთებთან ერთად საქართველოდან გაიტანეს და ის ერთ-ერთმა ევროპელმა კოლექციონერმა შეიძინა. დღეს ტრიპტიქი უკვე ხელოვნების სასახლეშია.

21. ხელოვნების სასახლე კულტურის ისტორიის მუზეუმმა, საქართველოს სამეფო აზიურ საზოგადოებასთან ერთად გამოსცა კიდევ ერთი კატალოგი “აღმოსავლური კოლექციები საქართველოში”. კატალოგში შესულია საქართველოს სამეფო აზიური საზოგადოების, საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმის და ზუგდიდის დადიანების სასახლეების აღმოსავლური კოლექციები.





22. 11 ივლისს საქართელოს ხელოვნების სასახლე კულტურის ისტორიის მუზეუმში ასევე გაიხსნა თამარ დე ლეტე-ვაჩნაძის გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო მხატვარის უნიკალური ნამუშევრები.



23. 11 სექტემბერს, 18:00 საათზე ხელოვნების სასახლეში გაიმართა გიორგი კალანდიას წიგნის ორტომეულის - "სამეგრელო- ქართული კულტურის ისტორიის ქრონიკების" პრეზენტაცია. საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული წიგნის პრეზენტაციას დაესწრო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრეზიდენტი ბატონი თეიმურაზ დოჭვირი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ჯემალ გამახარია, ფონდი "ხარებას" წარმომადგენელი ბატონი თემურ ვეკუა, სამეგრელოდან ქართული ეკლესიის წარმომადგენლები და ქართველ ისტორიკოსთა ფართო წრე.

24.

ხელოვნების სასახლე - კულტურის ისტორიის მუზეუმი Tripadvisor-ის მოგზაურთა ყველაზე პრესტიჟული და გავლენიანი პლატფორმის მიერ მსოფლიოს ყველაზე დათვალიერებად მუზეუმების საუკეთესო 10 %-ში მოხვდა!

25. ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმმა ლონდონის წიგნების ბაზრობაზე წარადგინა სასახლის ორი გამოცემა: „აღმოსავლური კოლექციები საქართველოში“ და „სამეგრელო — ქართული კულტურის ისტორიის ქრონიკები“. ლონდონის წიგნების ბაზრობის პარალელურად, გამოცემა „აღმოსავლური კოლექციები საქართველოში“ გადაეცა ბრიტანეთის ეროვნულ ბიბლიოთეკას, აგრეთვე დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის სამეფო აზიურ საზოგადოების სათაო ოფისს. აღნიშნული კატალოგი მოიცავს ხელოვნების სასახლისა და ზუგდიდის დადიანების სასახლეების აღმოსავლურ კოლექციებს.

სამეგრელოსადმი მიძღვნილი ორტომეულის პირველი ეგზემპლარები გადაეცა მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე დიდსა და სახელგანთქმულ წიგნთსაცავს — ბრიტანეთის ეროვნულ ბიბლიოთეკას.

26. 20 სექტემბერს, 15:00 საათზე ხელოვნების სასახლე - კულტურის ისტორიის მუზეუმში უნიკალური გამოფენა - ბაგრატიონები გაიხსნა. საქართველოს კულტურის მინისტრის ინიციატივითა და მხარდაჭერით პირველად საქართველოს სამეფო გვარისადმი მიძღვნილმა ერთთვიანმა ექსპოზიციამ ხელოვნების სასახლეში დაიდო ბინა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ქართველ ხელმწიფეთა და ბატონიშვილთა უნიკალური პორტრეტები, მათგან აღსანიშნავია უცნობი ავტორის მე-19 საუკუნეში შესრულებული თამარ მეფის პორტრეტი, ანანურის კომპლექსის ფონზე. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II ყმაწვილობის ტილო და თეკლე ბატონიშვილის უნიკალური პორტრეტი. აგრეთვე წარმოდგენილ იქნა ერეკლე მეფის ვაჟების გიორგი XII, იოანე და ალმასხან ბატონიშვილების პორტრეტები საქართველოს უკანასკნელი დედოფლის მარიამ ციციშვილის პორტრეტთან ერთად. ექსპოზიციის მარგალიტია ქართლის მეფე გიორგი XI (ყანდაარის ბეგლარბეგი) პორტრეტი. ექსპოზიციაში ასევე იყო საქართველოს სამეფო გვარის წარმომადგენელთა უნიკალურ იარაღი, მათ შორის აღსანიშნავია მეფე ბაქარის, მეფე კონსტანტინესა და მეფე გიორგის ცეცხლსასროლი იარაღები.

აქვე, აღსანიშნავია გამოფენა "ბაგრატიონები"-სადმი მიძღვნილი ღია ბარათების კრებულის გამოცემაც, სადაც წარმოდგენილია გვარის გამორჩეული წარმომადგენლები და მათი პორტრეტები.

27. 23 სექტემბერს საქართველოს ხელოვნების სასახლეში ოლესია (ლესა) თავაძის კატალოგის პრეზენტაცია შედგა. კატალოგში წარმოდგენილია მხატვრის მიერ შესრულებული წიგნის ილუსტრაციები, როგორც სხვადასხვა ზღაპრისა და პოეტური ტექსტებისთვის, ასევე მისივე ავტორობით შექმნილი ნაწარმოებებისთვის. გარდა ამისა, შეტანილია ქართული ცირკისა და თეატრისთვის შესრულებული კოსტიუმის ესკიზებიც. გამოცემა მომზადდა ქალაქ თბილისის მერიის ხელშეწყობით.

28. ხელოვნების სასახლე - კულტურის ისტორიის მუზეუმს, სასახლის დიდი ხნის მეგობარმა მეთოჯინე ნანა ყაულაშვილმა საჩუქრად არმანდ მარსელიეს (Armand Marseille) 1894 წელს დამზადებული ფაიფურის ორი თოჯინა გადასცა საჩუქრად. არმანდ მარსელიე ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი თოჯინების მწარმოებელი იყო გერმანიაში. მან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა თოჯინების ინდუსტრიაზე და დღემდე აღიარებულია „ოქროს ხანის“ დამფუძნებლად. მარსელიემ შეძლო სილამაზისა და ინდუსტრიული წარმოების ჰარმონიულად შერწყმა, რაც მის თოჯინებს გამორჩეულად მიმზიდველსა და ღირებულს ხდიდა.

29. მუზეუმის გამოყენებითი ფონდის კოლექციები შეივსო დიდგვაროვანთა ოჯახების ჩაისა და ყავის ნაკრებებით:

1. ბაგრატიონების ოჯახის ჭურჭელი ლათინური ინიციალებით „AB“

2. დავით დადიანის ჩაის სერვიზი ინიციალებით „DD“;

3. სალომე დადიანის ნაქონი ჩაის სერვიზები ;

4. ანდრია დადიანის ნაქონი ყავის ნაკრები, ე.წ. „ეგოისტი“.

30. საქართველოს ხელოვნების სასახლეს ირანის ისლამური რესპუბლიკის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი მაჰმუდ ადიბი თანმხლებ პირებთან ერთად ესტუმრა. სტუმარმა მუდმივ ექსპოზიციაში სასახლის აღმოსავლური კოლექციები დაათვალიერა

31. საქართველოს ხელოვნების სასახლეში სტუმრად იმყოფებოდა იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩვენს ქვეყანაში ბატონ იშიძუკა ჰიდეკი, რომელმაც დაათვარიელა სასახლის იაპონური კოლექციები და გაეცნო მუზეუმის ისტორიას. საქართველოს სამეფო აზიურ საზოგადოებას, ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმსა და იაპონურ მხარეს შორის ურთიერთანამაშრომლობის სამომავლო საინტერესო პერსპექტივები დაისახა.

32. 22 ნოემბერს 18:00 საათზე ხელოვნების სასახლე - კულტურის ისტორიის მუზეუმში გაიმართა ჯგუფური გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო რვა თანამედროვე მხატვრის უნიკალური კოლაბორაცია: მხატვრებმა ერთი და იგივე პეიზაჟი დახატეს განსხვავებული პერსპექტივით, სტილით და ემოციური მანერით. შედეგი კი ერთი თემის მრავალფეროვანი ხედვა — სხვადასხვა ხელწერის, ტექნიკის და ემოციის შერწყმაა.

33. 28 ნოემბერს “საქართველოს ხელოვნების სასახლე - კულტურის ისტორიის მუზეუმში” თენგიზ უთმელიძის ფოტოგამოფენა გაიმართა. თენგიზ უთმელიძე — სუხიშვილების ერთ-ერთი გამორჩეული სოლისტი და ქართული სასცენო კულტურის სიმბოლოა, რომელიც ერთგვარი მემატიანეს როლს თამაშობს ანსამბლის ისტორიაში.

34.ხელოვნების სასახლე კულტურის ისტორიის მუზეუმში დაბრუნდა გასაბჭოების პერიოდში საქართველოდან ბოლშევიკების მიერ გატანილი სამუზეუმო კოლექციები, რომლებიც საზღვრებს გარეთ ევროპის წამყვან სააუქციონო სახლებსა და კერძო კოლექციებში წლების განმალობაში ინახებოდა. 2025 წელს კულტურის სამინისტროს აქტიური მხარდაჭერით ხელოვნების სასახლემ ევროპის სხვადასხვა აუქციონზე შეისყიდა 1917-1921 წლებში საქართველოდან გატანილი XV-XIX სს 12 უნიკალური ფერწერული ტილო, ნაპოლეონ პონაპარტისა და მისი გარემოცვის რამდენიმე ხელნაწერი.

საქართველოს კუთვნილება გახდა ექვსი მსოფლიო მნიშვნელობის ხელნაწერი. მათ შორისაა: საფრანგეთის სახელოვანი იმპერატორის ნაპოლეონ I-ის თორმეტსტრიქონიანი შესანიშნავი წერილი, თავად „ფრანგთა იმპერტორის“ კალიგრაფიითა და ხელმოწერით დამშვენებული! ასევე: ნეაპოლის მეფის, ნაპოლეონის სიძისა და მარშლის იოაჰიმ მიურატის კალიგრაფიით შესრულებული საყურადღებო წერილი და მსოფლიოში სახელგანთქმული დიდი ფრანგი მწერლის ალექსანდრე დიუმას ულამაზესი ხელწერით შექმნილი ძალიან საინტერესო ბარათი.



35. ასევე შეივსო დასავლეთ ევროპული კოლექციები ისეთი უნიკალური ნამუშევრებით როგორიცაა -

1. **Travellers and Carraige in Landscape Dutch 17th century**

2. **Artists Sketching in an Interior (1856) by Gustaaf A. F. Heyligers**

3. **Evening Market Scene by Andreas Franciscus Vermeulen**

4.Franz De Paula Ferg (Attributed), Figures of the Commedia dell'Arte Performing in A Busy Village Square

5.Arturo Orselli, the Flirtatious Huntman

6. Anonymous Dutch portrait painter, Portrait of a young boy with his dog

7. Anonymous Flemish painter, the Crucifixion

36. 13 დეკემბერს ხელოვნების სასახლემ ელენე რამიშვილის ზღაპრულ გამოფენას "საშობაო ზარდახშა"ს უმასპინძლა. ქართველი მხატვარი და დიზაინერი, უკვე ათწლეულზე მეტია რაც მოღვაწეობს ფერწერისა და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებით. იგი ბავშვობიდან ქმნიდა დიდი განცდებისა და ემოციების მატარებელ კომპოზიციებს.

,,კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ამ სასახლეში. დროა ჩემი ზარდახშა გავხსნა და საშობაო, ფერადი, საგანძური გაგიზიაროთ. პაწაწინა დეტალებისგან აკინძული დიდი პანო, რომელშიც უამრავი ზღაპარია მოთხრობილი. გაგაცნობთ ათასგვარად ნაამბობ ბუხრისპირა ისტორიებს, წელიწადის დროებს, მრავალფეროვანი ძაფებით ნაქარგ თავგადასავლებს. შეგახვედრებთ ბროწეულასა და მამიდა არიადნას, მაგიურ ღრუბლებსა და უთვალავ პატარა ანგელოზს. გამოგზაურებთ სამშვენისებით გაშენებულ ბაღში, რომელშიც მრავალი წელი ვთესდი სიკეთეს იმისათვის, რომ თქვენი სტუმრობა გარდამექმნა იმგვარ მოგონებას, რომელიც გაგათბობდათ ისე, როგორც შობა, ბავშვობა და სიყვარული. მეწვიეთ, გელით... სიყვარულით, თქვენი ელო..."

37. 16 დეკემბერს ხელოვნების სასახლე კულტურის ისტორის მუზეუმსა და სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ - ,,საქპატენტს“ შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის საგანია მხარეთა თანამშრომლობა როგორც ინტელექტუალური საკუთრების დაცვის, ისე კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და დაცვის ხელშეწყობის მიმართულებით, მათ შორის, საერთო ინტერესების მქონე პროექტების განხორციელების მიზნით.

38. 22 დეკემბერს საქართველოს ეროვნულ არქივში გაიმართა თამაზ (თაზო) ხუციშვილის გამოფენა, სადაც ხელოვნების სასახლის მიერ მომზადებულ თამაზ ხუციშვილის კატალოგთან ერთად, წარმოდგენლ იქნა გოდერძი შარაშიას ფილმის პრემიერა. კატალოგი საქართველოს კულტურის მინისტრის ინიციატივით და სამინისტროს მხარდაჭერით დაიბეჭდა. ქართულ-ინგლისური წიგნი-ალბომი მოიცავს 300 ფერად გვერდსა და 250- ზე მეტ ნამუშევარს, მასში შესულია თამაზ ხუციშვილის მიერ შექმნილი პორტრეტები, ასევე ჟანრული ფერწერა, თეატრალური მხატვრობა, წიგნის ილუსტრაცია და თავისუფალი ჩანახატები. ეს წიგნი მხატვრის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ყველაზე მასშტაბური გამოცემაა, მასში შესულია როგორც სახელმწიფო, ისე კერძო კოლექციებში დაცული ნამუშევრები.

39. 25 დეკემბერს, 19.00 საათზე, ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმში გაიმართა გამოფენა **"ახალი და უახლესი ქართული მხატვრობა".** გამოფენა ეძღვნებოდა ხელოვნების სასახლის დამაარსებლის დავით არსენიშვილის დაბადებიდან 120 წლის იუბილეს. ექსპოზიციაში წარმოდგენილ იქნა ბოლო 10 წელიწადში ხელოვნების სასახლის მიერ შეგროვებული ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, რომლებიც ახალი და უახლესი ქართული მხატვრობის ისტორიას ასახავს.

გამოფენაზე ასევე მოხდა საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით დაბეჭდილი გამოცემების ლ.ჭიჭინაძის წიგნის **"დიმიტრი თავაძე"** და გ.კალანდიას მიერ შედგენილი კატალოგის **"ხელოვნების სასახლე"** პრეზენტაცია.

40. ხელოვნების სასახლე მუდამ ცდილობს სასახლის კოლექციების გამდიდრებას. მუზეუმმა ლონდონის ანტიკვარების საუქცნიონო სახლის საიტზე https://www.antiquities.co.uk/ შეიძინა უნიკალური ექსპონანტები. მუქი, დამწვარი ყავისფერი კოპტური გობელენის დახვეწილი ფრაგმენტი და ბატის ფიგურა. ტერაკოტა. ძვ. წელთაღრიცხვის 206 წლიდან ახ.წელთაღრიცხვის 220 წლამდე. ჩინეთი. ხანის დინასტია.



41. საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გამოიცა კრებული - **საჩუქარი საქართველოდან**, რომლის ავტორიც გიორგი კალანდია და ირინა საგანელიძე გახლავთ. კატალოგი არაჩვეულებრივი ილუსტრაციაა ქართული რეწვისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების შესახებ. ნაშრომი მიზნად ისახავს ტრადიციული გამოყენებითი ხელოვნების განვითარებას, ამ სფეროში მოღვაწე ქართველი მხატვრებისა და მათი შემოქმედების, ნამუშევრების პოპულარიზაციას. ფართოდაა ნაჩვენები ტრადიციული გამოყენებითი ხელოვნების სრული სპექტრი.

42. ხელოვნების სასახლე კულტურის ისტორიის მუზეუმმა კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით აფიშებისა და სახვითი ხელოვნების ფონდში გააკეთა სახანძრო უსაფრთხოების სისტემა. რომელიც უზრუნველყოფს ხანძრის სწრაფ აღმოჩენასა და განგაშს, ასეთ დროს სისტემა იწყებს საცავების შესაბამის ბლოკირებას, შეეტყობინებას უგზავნის ადმინისტრაციასა და სახანძრო სამსახურს რათა დაუყონებლივ მოხდეს რეაგირება. ასევე იცავს ექსპონატებს ავტომატური ჩაქრობის უსაფრთხო სისტემებით, რაც ზიანს მინიმუმამდე ამცირებს, ცეცხლქრობის დროს სისტემა იყენებს აირის ისეთ შენაერთებს რომელიც არ აზიანებს ხელოვნების ნიმუშებს და ისტორიული ძეგლების იერსახეს.

43. 2025 წელს ასევე განახლდა მუზეუმის ოფიციალური ვებგვერდი. ვიზუალური მხარის გაუმჯობესების პარალელურად, მნიშვნელოვნად დაიხვეწა საიტის ფუნქციურობაც. განახლებული პლატფორმა ახლა უფრო სწრაფად და სტაბილურად მუშაობს. მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს მარტივად იხილოს მუზეუმში დაცული კოლექციები, გაეცნოს საფონდო საქმიანობას, წესებსა და რეგულაციებს, ასევე მიიღოს მისთვის საჭირო სრული და დეტალური ინფორმაცია ერთ სივრცეში.

44. მომზადდა საქართველოს ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა და საარქივო აღწერილობის მე-15 ტომი, სადაც შევიდა საქართველოში მოღვაწე რეჟისორების როგორც პირადი არქივები ასევე ფოტო მასალა. გამოცემაში პირველად იხილავთ ქართული კინო ფონდის არქივის.

45. ხელოვნების სასახლემ, საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით კიდევ ერთ შესანიშნავი ნამუშევარი -(**Feeding the Bunnies by Thomas P. Hall”**) შეიძინა აშშ-ში **Antony’s Fine Art & Antiques**–ის, საუქციონო საიტზე.



სარესტავრაციო საქმიანობა

ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმში რესტავრაცია ჩაუტარდა 629 ნიმუშს, მათ შორის:

- ბეჭდური გამოცემები – 333 ერთეული (ბიბლიოთეკისა და რარიტეტულ გამოცემათა ფონდი);
- ხელნაწერები და საარქივო დოკუმენტები – 119 ერთეული (ხელნაწერთა და საარქივო დოკუმენტთა ფონდი);
- გრაფიკული ნამუშევრები – 147 ერთეული, ფერწერული ტილოები – 8 ერთეული და აფიშები – 11 ერთეული (სახვითი ხელოვნების ფონდი);
- ნივთები – 12 ერთეული (ძვირფას ლითონთა და ნაკეთობათა ფონდი).

დადიანების სასახლეთა სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმისათვის

ხელოვნების სასახლის რესტავრატორებმა ნამუშევრებისთვის ჩაატარეს შემდეგი სარესტავრაციო სამუშაოები:

1. „აღდგომა“;
2. „საიდუმლო სერობა“;
3. „საფლავად დადება (გარდამოხსნა)“;
4. „საფლავად დადება (გარდამოხსნა)“ — ნაქარგი ნამუშევრის ფერწერული ნაწილების კონსერვაცია-რესტავრაცია (ქრისტეს ფიგურა და ოთხი მახარებლის მედალიონი);
5. „საფლავად დადება (გარდამოხსნა)“ — ნაქარგობის ფერწერული ნაწილის კონსერვაცია-რესტავრაცია (ქრისტეს ფიგურა);
6. ხობის ღვთისმშობლის ხატის ჩასაბრძანებლის რესტავრაცია

"მაცხოვრის ლოცვა გეთსიმანის ბაღში" რესტავრაციამდე და შემდეგ.





საფლავად დადება (გარდამოხსნა) ნაქარგი, ფერწერული ნაწილების კონსერვაცია-რესტავრაცია (ქრისტეს ფიგურა)

რესტავრაციამდე

რესტავრაციის შემდეგ

საფლავად დადება (გარდამოხსნა) ნაქარგი, ფერწერული ნაწილების კონსერვაცია-რესტავრაცია (ოთხი მახარებლის მედალიონი)

რესტავრაციამდე

რესტავრაციის შემდეგ